

ტეტანუსი

რა არის ტეტანუსი?

ტეტანუსი მტკივნეული, ხშირად ფატალური დაავადებაა. ნიადაგში ან სასუნთქში აღმოჩენილი ბაქტერიები ათავისუფლებს ტოქსინს და იწვევს კუნთების მტკივნეულ სპაზმს და ყბის გაშეშებას. ეფექტური ვრცელდება და იწვევს კრუნჩხვებს, სუნთქვის გაძნელებას და გულს არანორმალურ რიტმს.

როგორავადდება ადამიანები ტეტანუსით?

ბაქტერიები ნიადაგიდან ან ნაკელდან სხეულში შედიან ღია ჭრილობისა და დამწვრობის გზით. ჭრილობა შეიძლება იყოს ისეთივე პატარა ან უმნიშვნელო, როგორც ნემსის ნაჩხვლეტი. ტეტანუსი არ არის გადადები (არ გადადის ადამიანიდან ადამიანზე). ადამიანები ტეტანუსს გარემოდან იღებენ და არასხვა ადამიანებისგან.

რა არის ტეტანუსის სიმპტომები?

გენერალზე ული სიმპტომები გვხვდება შემთხვევების 80%-ში. პირველი სიმპტომია კუნთების ძლიერი სპაზმი, რომელიც იგრძნობა კისრის და ყბის კუნთებში (Lockjaw). ამას შეიძლება მოჰყვეს კუნთების მტკივნეული სპაზმი ხურგში, მუცელში და კიდურებში. მოტეხილობები შეიძლება გამოწვეული იყოს ძალდობრივი შეკუმშვით. შეიძლება განვითარდეს სუნთქვისა და ყლპვის გაძნელება. ხორხის ნაწილის სპაზმმა შეიძლება გამოიწვიოს მყისიერი სიკვდილი. დაავადება მძიმედ მიმდინარეობს 1-დან 4 კვირამდე, შემდეგ კი თანდათან ქრება. სიკვდილი შეიძლება მოხდეს შემთხვევების 10%-25%-ში.

ტეტანუსი ძალან სერიოზული დაავადებაა. რისკი ყველზე დიდია ძალზე ახალგაზრდა ან 60 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებისთვის. ჩვილებში ტეტანუსმა შეიძლება გამოიწვიოს ტვინის მუდმივი დაზიანება ჟანგბადის დაკარგვის გამო. კიდურების და ხერხემლის მოტეხილობამ შეიძლება გამოიწვიოს მუდმივი ინვალიდობა. ტეტანუსის მქონე ადამიანებიდან 10-დან 1 მოკვდება. კუნთების ძლიერი სპაზმი ხელს უშლის სუნთქვას.

მიუხედავად ამისა, რომ ტეტანუსი ახლ იშვიათია ირლანდიაში რუტინული იმუნიზაციის პროგრამების გამო, დაავადების გამომწვევი ბაქტერიები ჯერ კიდევ არის ნიადაგში. ისინი არ შეიძლება აღმოიფხვრას ჩვენნი გარემოდან. ტეტანუსისგან თავის დასაცავად ერთადერთი გზა იმუნიზაციაა.

HSE-ის ეროვნული იმუნიზაციის სამსახურმა

ვინ უნდა მიიღოს ტეტანუსის ვაქცინა?

ტეტანუსის პრევენცია ხდება ვაქცინაციის გზით.

ტეტანუსის ვაქცინას აძლევენ ბავშვებს, როგორც 6-ში 1 ვაქცინის ნაწილს 2, 4 და 6 თვის ასაკში.

ვაქცინა 6 1-ში იცავს დიფტერიის, B ჰეპატიტის, Hib-ის (B ტიპის ჰემოფილუს ინფლუენცა) ყივანახველს, პოლომიელიტის და ტეტანუსისგან.

ვაქცინის ბუსტერ დოზა ეძლევა 4-5 წლის ასაკში ([4 1-ში 1 ვაქცინის](#)) სახით, რომელიც იცავს დიფტერიის, ყივანახველს, პოლომიელიტის და ტეტანუსისგან.

კიდევ ერთი ბუსტერ დოზა ეძლევა სკოლის მე-9th კლასში ([Tdap ვაქცინა](#)), რომელიც იცავს დიფტერიის, ყივანახველს და ტეტანუსისგან.

თუ თქვენ ან თქვენს შვილს ესაჭიროებათ ვაქცინაცია, ან არ ხართ და რწმუნებულ თქვენი ან თქვენი შვილის ვაქცინაციის სტატუსში, მიმართეთ თქვენს ოჯახის ექიმს რჩევისთვის.

ვინ არ უნდა მიიღოს ტეტანუსის ვაქცინა?

ძალან ცოტაა ისეთი ბავშვი, რომელმაც არ უნდა გაიკეთოს ტეტანუსის ვაქცინა. თქვენმა შვილმა არ უნდა მიიღოს ვაქცინა, თუკი მას ჰქონდა მწვავე ალერგიული რეაქცია (ანაფილქსია) ვაქცინის წინა დოზაზე ან მის რომელიმე ნაწილზე.

რას უნდა ველოდოთ ტეტანუსის ვაქცინის მიღების შემდეგ?

ვაქცინის მიღების შემდეგ თქვენს შვილს შეიძლება ჰქონდეს დისკომფორტი, სიწითლე ან შეშუპება იმ ადგილს გარშემო, სადაც ინექცია გაუკეთეს. ის შეიძლება იყოს გაღიზიანებული და ჰქონდეს სიცხე.

თუ ეს მოხდება, შეგიძლიათ მისცეთ მას პარაცეტამოლი ან იბუპროფენი. ასევე უნდა მისცეთ მას დიდი ოდენობით სითხე. და რწმუნდით, რომ თქვენს შვილს არ სცხელა და რომ ტანსაცმელი არ ეხახუნება ნანემსარადგის.

ბავშვებში, როგორც წესი, ეს უმნიშვნელო გვერდითი ეფექტები აღგდება ერთი ან ორი დღის განმავლობაში

სერიოზული გვერდითი მოვლენები ძალაან იშვიათია.

როგორ მუშაობს ტეტანუსის ვაქცინა?

HSE-ის ეროვნული იმუნიზაციის სამსახურმა

ვაქცინა მზადდება ტეტანუსის ბაქტერიების ინაქტივირებულ ტოქსინებისგან, ამას ტოქსოიდური პრეპარატი ეწოდება. ვაქცინაცია ასტიმულირებს ორგანიზმს შრატში ანტიტოქსინის გამომუშავებაში.

ტეტანუსის ტოქსოიდის შემცველ ვაქცინის სულხუთი დოზა შესაბამისი ინტერვალებით ითვლება სიცოცხლის განმავლობაში იმუნიტეტის მინიჭებად. ტეტანუსისგან გამოჯანმრთელებამ შეიძლება არ გამოიწვიოს იმუნიტეტი და ტეტანუსის შემდეგ ვაქცინაცია ნაჩვენებია.

რამდენად ეფექტურია ტეტანუსის შემცველ ვაქცინა?

ვაქცინის რეკომენდებულ დოზების მიღების შემდეგ ბავშვების თითქმის 100% იმუნურია ტეტანუსის მიმართ.

სად შეიძლება გავიგო მეტი?

ესაუბრეთ ჯანდაცვის სანდო პროფესიონალს და ეწვიეთ www.immunisation.ie